

რედაქცია

გადაცემის პრინციპები, ანუ, მუსხინის სახელზე...

ხელის-მოწერა

მიმღებთ... რედაქციაში... პრობლემა...

„დროება“-რედაქციის წესები

წელიწადში 6 თვეს... 14 მან... 8 მ... 5 მ... 9 მან... 5 მ... 3 მ... 7 მან... 4 მ... 2 მ...

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

შპსი ბანსხედი

დიდი ასობით ასობე... მთავრულით ასობე...

თუ სწავრობა მოითხოვს... და შეაქადებს დანახვად...

განცხადება მიიღება... განხილვის და სხვა...

ნათლის-ღვინს დღესასწაულ-ბის გამო ხვალ გახეთი არ გამოვა.

წარწერის თეატრში... ოთხშაბათს 7 იანვარს...

მ. მ. საზაროვისა

ქართულ ტრუპისაგან წარმოიდგინება... I შოკეტი პარიჟელი პინტო... II დიპარტისმენტი... III დროებითი სიჰარული...

ტელეგრაფები

კაბინეტური, 3 იანვარს. „გოლას“ მოუვიდა ოდესღაც ამბავი...

„დროების“ ფელტონი, 6 იანვარს.

წარჩევი საზარანგაზიდან... XI... ამ დღესასწაულების გამო, ცოტა არ იყოს...

გაზ. „ახალ დროებაში“ დაბეჭდი-ლია, რომ სასულიერო საქმეთს...

ლონდონი, 3 იანვარს. ტრანსკანდის ბოკები დასავლეთისაკენ იწევიან...

მენა, 3 იანვარს. იუსტიციისა და გაჭრობის მინისტრები გამოვიდნენ...

მანჩესტერი, 3 იანვარს. გუშინ აქ ყაზანკების მსვლელად დინამიტის...

პეტერბურში, 4 იანვარს. გამოჩე-ნილი გრავიორი (ამომჭრელი) აჯადუ-

მოთხრობა „საბრალონი“ ნათარგმნი. შეძლებისა-და-გვარად და რამდენა-

მიქტორ ჰუგო დაიბად 1802 წ. ბენანსონში. იმის მამა გვარიანათ შეძ-

წამწილის თავიდავე ეტყობოდა გასაოცარი ნიჭი ყოველ-გვარ მცენი-

პირველი დროის მის თხზულებებს ეტყობა, რომ ისინი დაწერილი არიან...

სნობა რუსთაველზე

მს ფრიად საინტერესო სნობა რუს-თაველზედ მიღებულია თ. ბიორგი...

„მომოც-და-თვრამეტში ვიბოვე მა-მიხმის წიგნებში ერთი რვეული...

„ბრემის ქალაქსა შინა იზრდებოდ-ნენ ყმაწვილები, სადაცა იყო დიდი...

„ერთმა ბერმა საკუთრათ დაუწყო ზრდა ორბელიშვილს...

„ამათ შეისწავლეს ყოველი სიბრძ-ნე. თექვსმეტის წლისა იყო გადაიყვა-

ლენით. მაგრამ ამ გვარად იმის შრო-მა გაგრძელდა მხოლოდ 8—10 წე-

და ამ ამ გვარი კაცის, მართლა არა-ჩვეულებრივის სახელი დამსახუ-

და ამ ამ გვარი კაცის, მართლა არა-ჩვეულებრივის სახელი დამსახუ-

„თვით იმავე ბერმა წაიყვანა ეს ოთხი ყმაწვილი პთინაში.

„მ. ც-და-ორის წლისა დაბრუნდა გამოჩენილი სწავლით. არა ნაკლებ...

ამაზედ მეტი იმ რვეულში ვერა ებოვნა-რა, ან რა წელს მოხდა იმა-თი პთინაში წაყვანა...

ორიონი სიტყვა

ი. ი. წინამძღვრის-შვილის სკოლაზედ. მთლათ ჩვენი ქვეყანა, სხვა-და-სხვა...

კავშირებული და პაზრების მოკლეთ, მაგრამ გასაგებათ და შნოიანად წარ-

ვის არ წაუკითხავს და არ გაკვირ-ვებია, არ აღტაცებულა იმის მშვენი-

შველა ამ თხზულებებმა ისეთი სა-ხელი დაუმსახურეს ავტორს, რომ ბევრი...

როგორც პოლიტიკურ, აპარეზზე მომქმედს და პოლიტიკურ პამფლე-



განძობილი საქმეა, მართლა რომ მთლათ ჩვენის ეჩის მანუაგებულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, რადგანაც ეს საქმე ერთობ მიმართულია მთელი ხალხის საკეთილდღეობით და მამასადამე რადგან ეს საქმე თვით ამ ხალხის საზოგადო საქმეა, ამიტომ ნება მიბოძეთ, ერთი ორიოდ სიტყვა ესთქვა იმ მომავალ სკოლის „პროექტზე“, რომელიც ამ წამში წინ მიდევს. ეს ორიოდ სიტყვა მიმართული იქნება პროექტის მხოლოდ მეცამეტე და მეთექვსმეტე მუხლებზე, რომელთა ავტორებია ირაკლიანი დამოკიდებულია თვით სასწავლის ბედი და უბედობა. მაგრამ, ვიდრე ამ მუხლების შესახებ რამეს ვიტყვოდე, გთხოვთ შემდეგი მომსახურებით:

1807-ს წელსა, ნაპოლეონმა პირველმა იენთან და აუერშტედტთან, ასე საშინლად დაამარცხა პრუსია, რომ ეს უკანასკნელი იძულებული იყო შერიგება ეთხოვა მისთვის და ეს შერიგება, როგორც ვიცით, მოხდა ტილზიტში. ამ შერიგებამდე პრუსია შეიცავდა 5,570 ოთხ-კუთხედ ალაჯსა (მილსა) და 9,743,000 ცხოვრებას; შერიგების შემდეგ კი პრუსიას დარჩა მხოლოდ 2,877 ოთხ-კუთხედი ალაჯი და 5,000,000-ზე ნაკლები მცხოვრები და ამას გარდა, იგი ვალდებული გახდეს, გარდაუხადოს თავის მოძალადეს 150 მილიონ მანეთამდე ხარჯი.

როგორც ჰხედავთ, დამარცხება საშინელი და აუტანელი ყოფილა! მაგრამ ერთი უყურეთ პრუსიის დიდსულოვნებას: იგი არ მიეცა სასოკვეთებას, არამედ მთლათ თავისი მოქმედება, მიმართა შიგნით გამაგრებას და ერთობის დაძვარებას, და ამ მიზნის განსახორციელებლად, მან ყველაზე საუკეთესო საშუალებად იცნა ხალხის განათლება სწავლა-მეც-

ნიერებით. აი რას ამბობდა პრუსიის კოროლი თავის სიტყვაში, რომელიც მიმართული იყო პრუსიის ხალხისადმი.

„თუმა ჩვენ დაგვარგეთ მომეტებული ნაწილი ჩვენის ქვეყნისა, თუმა ჩვენსა სახელმწიფოს გარეგანი ძლიერება და დიდება სრულიად დაინთქა, მაგრამ მე მსუქს და ვადევ უნდა გეცადნეთ, რომ შევიგნათ ეს დანაკლისი შინაგანი ძლიერებით და შინაგანი დიდებით. ამიტომ ჩემი მტკიცე სურვილი არის, რომ ხალხის განათლებასე იყოს მიქცეული უგადრესი, ყურადღება!“

აი კიდევ რასა სწერს მისი განათლების მინისტრი ალტენშტეინი:

„სადაც აღზდა და სწავლა არ გამოდინარეობს ერთ და იგივე ხალხის და სახელმწიფოს საერთო მოთხოვნილებიდან და ამით არ ხელმძღვანელობენ ამ დიდ საქმეში, სადაც ყველა წოდებანი აღზრდის თავიანთ შეილებს მხოლოდ თავიანთ საპირადო და საწოდებო ინტერესისათვისა, — იქ შეუძლებელია ხალხისაგან თავის თავის თვით - ცნობა, შეუძლებელია გაიხსნას საზოგადო, საერო გრძობანი, შეუძლებელია საერთო სწორი გაგება ხალხის და სახელმწიფოს ნამდვილი საჭიროებებისა, და მამასადამე შეუძლებელია ერთობაცა ამ მიზნების სამსახურისათვისა! ამიტომ, ჩვენი სახალხო სასწავლებელი, ამის შემდეგ, უნდა ვახდეს პირველ-დაწყებით განათლების გამაგრებელია, რადგანაც მხოლოდ იგი შეადგენს სწორს და შეურყეველ-დაურღვეველ საძირკველს ხალხის და სახელმწიფოს ერთობისა. იგი უნდა იყოს საზოგადო პირველ-დაწყებით, ქრისტიანულ, ნემეტურ, პრუსიულ სასწავლებლად მოკლად პრუსიის ერისათვისა, რადგანაც ჩვენ ყველაზე უწინარეს

ქრისტიანე ვართ, მაგრამ ამასთანავე პრუსიელი და ჩვენი საზოგადო სამშობლო არის გერმანია.“

ამ გვარ სახალხო სასწავლებლად პრუსიამ იცნო დიდებულის პესტალოცის სასწავლებელი (რომელთანაც ალტენშტეინმა გაგზავნა რამდენიმე ახალგაზდა იმის სკოლის შესასწავლებლათ), რომელიც მართლაც და იყო ნამდვილი სახალხო სასწავლებელი, რადგანაც აქ სწავლა მთლად დაფუძნებული იყო სახალხო ნიადაგზე: სწავლა პესტალოცის სკოლაში იწყებოდა თვალ-წინ მყოფი სამშობლოს და მამულის შესწავლით და ამიტომ საკუთარი ქვეყანა, სამშობლო ენა, ხალხის ცხოვრება შეადგენდნენ მის უპირველეს სასწავლო საგნებსა.

პესტალოცის დასაბამი სკოლის დანიშნულება იყო არა ის, რომ ასწავლოს ბავშვს წერა-კითხვა, კათეხიზმო და თვლა, არამედ და უფრო მეტათ: დაუდოს ცნობილი და ჭკვიანობა და სურათი საფუძველი ადამიანის განვითარებისათვის და მის უკეთეს ხასიათებსა.

იმ დროს, როდესაც მკობის ერთს კუნჭულში (შევიცარიში) ნელ-ნელა იზრდებოდა და მწიფდებოდა ამ გვარი ხასიათის სკოლა, სწორეთ ამევე დროს, დანარჩენ ქვეყნებში სრულიად სხვა აზრს მისდევდნენ სასწავლებლები. სხვათა შორის მრავალი იყო იმ გვარი სკოლები, სადაც ამ საერთო და დასაბამ განათლებასთან ერთად, ცხოვრებაში გამოსაყენებელ სხვა-და-სხვა ხელოვნობას ასწავლიდნენ, მაგრამ მალე დაინახეს, რომ ამ გვარი, ორ მიზანს მიმდევარი სასწავლებელი ვერას ხდება: ვერც ხეირიანს განათლებას აძლევს და ვერც რამე ხელობას საფუძვლიანად ასწავლის, და ყმაწვილები ხასიათით უფრო ფუჭდებოდნენ და ეჩვეოდნენ საქმის ცუდათ კეთე-

ბასა, მასალას სწავლილობის ფუჭებასა და სხვ.

ინგლისში, 15 გამოცდილების შემდეგ, რომელშიაც (გამოცდილებამ) ჩაყლაბა აუარებელი ფული, მსხვერპლი და შრომა, ხელოვნობის შესწავლად ჰინგელ-დაწყებით სკოლებში სრულიად აქმნა მოსაზრებით, რადგანაც, როგორც თვით საქმიანად აღმოჩნდა, იგი გამოდგა არა თუ მხოლოდ სრულიად უსარგებლო, არამედ და გარდა-მეტებით მავნებელ საქმედ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მშობლები აღარ გზავნიდნენ ამ გვარი სკოლებში თავიანთ შეილებს, თუმცა ამ სკოლებს მართებლობა და საზოგადოებაც დიდ შემწევობას აძლევდა.

ამისი პირველი მიზეზი ის იყო, რომ ხელოვნების შესწავლის თავიანთის-მცემლებმა მოინდომეს ერთ და იგივე დროს ორი ყურდლის დაქვრა, რომელიც შეუძლებელია. ამათ დაივიწყეს ის ყოველ-მალალი დანიშნულება, რომელიც მუდამ წინ უნდა ედგას პირველ-დაწყებით სასწავლებელს!

სწორეთ ამ დროს გამოვიდა პესტალოცი თავის ჭკვიანობით სწორი შეხედულებით ადამიანის აღზრდაზე და სწავლაზე, ესე იგი რომ დასაბამითი აღზრდა და სწავლა უნდა ცდილობდეს მხოლოდ ადამიანის ყველა სულიერ ძალების გაღვივებას და განსწავლა და მომავალი ხელობა და საქმე თვით ადამიანმა საკუთარს ნება-ყოფილობით უნდა აირჩიოს და შეიმუშაოს, როდესაც იგი გონებით განისწავლა.

ამის შემდეგ იწყეს იმისთანა სახელოვნო და სხვა სპეციალური სასწავლებლების მართვა, რომლებშიაც ღებულობდნენ მხოლოდ საზოგადო განათლების მიღებულებს და რომლებმაც შემდეგ მომეტებულად იმ საქმეს

თავ-და-პირველად ჰუგო მონარხის მხარე იყო; მაგრამ 1830 წლის რევოლუციამ, ცოტა არ იყოს, ფრთხილად შემოუკვეცა ამ გვარს მისს რწმუნებს. როდესაც პარიზის ხალხი დარწმუნდა, რომ იმას, ამდენის სისხლის ღვრით და ტანჯვით ნაშოვნე უფლება და თავისუფლება ჯერ პირველმა იმპერიამ ნელ-ნელა გამოაცალა და მერმე პარლო მეთემ ველარ მოიბინა, იფეთქა და ხელ-მეორეთ ქვე-დაამხო ბურჰონების მონარხია. როგორც მენი უეცრად დაცემა, ისე მოულოდნელად, მსწრაფად მოასწრო ჰუგოს ამ ხალხის მოძრაობამ; მისი ყმაწვილი კაცი, აღტაცებული პოეტი, შესტკეროდა ცას და ეარსკვლავებს, უმღერდა ანგელოზებს, გალობდა მარტო ციურზე და ამაღლებულზე; მის გარშემო ცხოვრება, ამ სოფლიური დრტინვა კი, უყურადღებოთ იყო მისგან მიტყვებული... მაგრამ, როდესაც პარიზზედ გაისმა ზარისაგით 200,000 მუშა ხალხის კენცა, როდესაც ახალგაზდა პოეტს მოესმა ეს წმინდასიტყვები: „ერთობა, მშობა და თავისუფლება“ — იმან

მოიხარა კისერი დაიხედა ქვევით და მიხედა და შეიტყო, რომ პოეტში, მწერალში ანგელოზები და ვარსკვლავები კი არ საჭიროებენ, არამედ თვითონ ადამიანი, ხალხი; მიხედა რომ პოეტი ხალხის წინამძღოლი უნდა იყოს, მოცადინე მისი უბედური მდგომარეობის გაუმჯობესობისა, — და გაუწოდა ხელი თავის მომხრე ხალხს! აგრ 40 წელიწადი მეტია, ჰუგო ხალხთან ერთად მიდის ცხოვრებაში, — ერთი და იგივე ფიქრი აქვთ, ერთი და იგივე სიხარული, ტანჯვა.

1852 წელს როდესაც საფრანგეთში ნაპოლეონ III-ემ მოახდინა coup d'etat, გაჟლიტა 100,000 მეტი მუშა და ამათ სისხლში ამოვლებული ქურქი, რომელსაც უწოდა იმპერატორის მანტია, მოისხა მიქტორ ჰუგო გაბრუნებული, გულ-მახვილი და გადამტყნებული ამ უღმერთოდ ხალხის მტანჯველზე წავიდა საფრანგეთიდან და დაბინავდა ინგლისის ჰერსის კუნძულზე, სადაც დაჰყო მთელი 18 წელი ნაპოლეონ III-ის მეფობისა.

აი ეს დრო ითვლება მიქტორ ჰუგოს მწერლობის საუკეთესო დროდ.

აქედამ იმან დაუწყო ისეთი მოწამლული და შხამიანი სიტყვების სროლა მეორე იმპერიას, რომლის წარმოქმნა შეეძლება მარტო ჰუგოსაგით თავის სამშობლოს, ხალხის მოსიყვარულეს და ჰუგოსაგით ნიჭიერ პოეტს. ბევრი მწარე დღე გაუთენა იმან ნაპოლეონ III-ეს თავის პოლიტიკურის პამფლეტებით.


ამბობენ, როდესაც ნაპოლეონმა დაატყუო, რომ მისი საქმე ცუდათ მიდის, ომი წააგო, თვითონ ტყვეთ ჩაუვარდა პრუსიელებს მაშინ ერთს დაახლოებულ პირს უთხრა, რომ „ჩემი იმპერატორობა გათავდა და დაიწყო ჰუგოს და რაშფორის მეფობა!“ მართლაც რაშფორის ნიჭიერმა კალამმა მეორე იმპერიის გაღვინა და ძალა სულ ტალახში ამოაგორა.

დაეცა მეორე იმპერია. ღაარსდა რესპუბლიკა. მიქტორ ჰუგოც მაშინ დაბრუნდა თავის საყვარელ პარიზში. პარიზის ხალხი იმას ისე შეხედა, როგორც ძველს დროებში რომაელები შეხედებოდნენ სარდლებს, სხვა-და-სხვა ქვეყნების დამორჩილების შემდეგ დაბრუნებულებს.

მხლა მიქტორ ჰუგო სცხოვრებს პარიზში თავის შეილის - შეილებითურთ. შეილები აღარ ჰყავს — დეახოცენ. მართი იმის შეილთაგანი გამოჩენილია, როგორც შექპირის საუკეთესო მთარგმნელი და ამხსნელი იმის თხზულებისა და მეორე როგორც ნიჭიერი რომანისტი, რომელმაც დასწერა ორი თუ სამი მოთხრობა და მეტი კი აღარ დასცალდა.

თვითონ „მონანიზე“ ცოტა ადგილი მრჩება, რომ გიამბოთ, თუმცა მისი შინაარსის მოთხრობაში არ უნდა საჭიროებდეთ, რადგან ბევრ წაკითხული ექნებათ ჩვენში ეს თხზულება და წაკითხული თუ არა ოპერათ გადაკეთებული მანც ენახებათ, რომელშიაც შინაარსი დრამისა სრულიად შეუშლილად არის მოყვანილი. თამაშით კი ისე თამაშობენ, როგორც შემეწინთ აქაურს ნიჭიერ არტისტებს Comédie française-ის თეატრისას.

კოტე მესნი.



ასწავლიდნენ, რომლისთვისაც იგინი შევიდნენ იმ სასწავლებელში. მკვი არ არის, რომ ამ გვარად მომართული საქმე წარმატებით წავიდოდა და ასეც არის.

ახლა კი შემოიღიან თვით ჩვენ სავანზე გადავიდე.

ბატ. ი. წინამძღვარი შეიღიან აარსებს სამეურნეო სასწავლებელს, სადაც ყმაწვილებს მიიღებენ. რა-ნაკლებათის წლისას. მწავლებლები ისწავლიან ხუთს წელიწადს (იხილე პროექტის 13 და 16 მუხლები) აქ მე პირ-და-პირ ვიტყვი, ჩემის ფიქრით, როგორ უფრო უმჯობესი იქნებოდა ამ მუხლების შეცვლა.

ჩვენ, ქართველებს, ცოტა, მაგრამ მაინც, გვაქვს სასოფლო, სახალხო სკოლები, რომელთაც, რამდენათაც ნებას გვაძლევდნენ მასწავლებელთა კარგიანობა და სხვა გარემოებანი, ცდილობდნენ ცოტათ თუ ბევრად დაუხლოვდნენ თავიანთი დამაარსებლის დანიშნულებას და სულს. მაგრამ არა გვაქვს იმისთანა სახელოსნო თუ სამეურნეო სასწავლებელი, სადაც ჩვენი გლეხის, თუ სხვა წოდების უფროსი პირების შვილებს მაინც შეეძლოთ თავიანთი შედენილის სწავლის გარდა, ამ სწავლის გარდა, ჯერ კიდევ არაა დაწყებული, მაგრამ რა ქნან, რომ მათ არავითარი საშუალება არ უძვეთ წინ თავიანთ გულის თქმის აღსასრულებლად! აი, ამ გვარი, ყველასაგან მივიწყებულ ყმაწვილებისათვის უნდა ყოფილიყო დანიშნული შემოხსნებული სასწავლებელი. მკვენ მხოლოდ აცნობეთ სოფლის სკოლებს, რომ იღებთ თქვენს სამეურნეო სკოლაში მხოლოდ კარგათ კურს შესრულებულს და მერწმუნეთ, იმდენი გლეხის ჭაბუკი მაგადგებათ კარზე, ერთი ერთმანერთზე უკეთესნი, რომ იქნება ვერც კი აუვიდეთ! ამ წესით თქვენ მისცემთ ჩვენ სასოფლო სკოლებს ერთი ათად მომეტებულ მნიშვნელობასა და ძალას!

სწავლისათვის დადებულია ხუთი წელიწადი; როდესაც ამ წესს შემოიღებთ, მაშინ საკმარისი იქნება სამი წელიწადი. პირველს და მეორე კლასში საშუალოთ რომ გყავდეთ 20 ყმაწვილი და თითოს უნდებოდეს 100 მანათი წელიწადში, გაოდის, რომ ამ წესით მუდამ ორ წელს გამოიზოგება ოთხი ათასი მანეთი და სკოლის მიზანიც უკეთ იქნება მიღწეული.

როდესაც ამ წესს შემოიღებთ, მაშინ სწავლა-მეცნიერებაც შეიძლება მეტი მისცეთ მოსწავლეებს: რადგანაც წერა-კითხვა და სხვა საგნები საკმარისად ეცოდინებათ შესვლისათვის; ამიტომ დღეში ორიოდ საათი რომ სწავლის გარდაცემას მოახმაროთ,

მაინც შესაძლებელი იქნება კარგად საკმარისად ცოდნით გარდაცეთ თქვენ მოსწავლეებს ქიბილამ, ფიზიკალამ და სხვა ყოველ დღიურ ცხოვრებაში გამოსადეგ სამეცნიერო ცნობებიდამ, რომელთა განვითარებითი ცოდნით მხოლოდ შესაძლებელია ჩვენი მეურნეობის წინ-წაწევა.

როდესაც ამ წესს შემოიღებთ, მაშინ ადვილია კარგი დირექტორის აღმოჩენაც. ეს იმიტომ რომ, თუ მცირე-წლოვანებს და ორ მცოდნე ყმაწვილებს მიიღებთ, მაშინ დირექტორად იმ გვარი პირი უნდა ამოირჩიოთ, რომელიც კარგი პედაგოგი არის, მაგრამ რომელსაც მეურნეობისა არაფერი გაეგება. ამ გვარი დირექტორი, თუმცა კარგათ აღზრდის ყმაწვილებს გონებით და ხეობით, მაგრამ თქვენი სკოლა, მაინც ვერ მიადწევს თავის დანიშნულებას, რადგანაც თვითონ დირექტორს მეურნეობისა არა გაეგება-რა. პირ იქით, თუ თქვენ დააყენებთ დირექტორად იმისთანა პირს, რომელიც სპეციალისტია მეურნეობაში, მაშინ იგი კარგათ ვერ წაიყვანს დასაბამით სწავლა-აღზრდის საქმეს და ორივე საქმე კოჭლად ივლის, რადგანაც თუ ყმაწვილები წესიერად არ იქნებიან გონებით და ხეობით პატარაობითვე მოზადებულნი იმათგან როგორ უნდა ველოდეთ კარგ მეურნეობასა?! მართი სახსარილა გერჩება: მივიღოთ სასოფლო სკოლებში სწავლა-დასრულებულნი. მაშინ ჩვენ შეგვეძლება დირექტორად ამოვირჩიოთ კარგი სპეციალისტი მეურნეობისა და საქმეც კარგათ წარმატებით წავა!

ი. ზ. რასტროპოვილი.
თელავი, 29 ქრისტეშობისთვეს.

ახალი ამბები

დღეს ნათლილება-ღამეს, 6 იანვარს თფილისის ქრუჯოკში დანიშნულია ბალი „თფილისის გუბერნიის შეუძლებელ თავდა-აზნაურთა საზოგადოების“ სასარგებლოდ. ბალში შესვლის ფასი 2 მანეთია.

ხუთშაბათს, 8 იანვარს თფილისის ქუჩებში დანიშნულია კონცერტი თფილისის საქალბო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ღარიბ შაღირდების სასარგებლოდ.

თფილისის ქრუჯოკა წელს 2,121 მანეთი შესწირა თფილისის სხვა-და-სხვა სასწავლებელთა ღარიბ შაღირდების სასარგებლოდ. მ. ფელი კრუჯოკს ზოგი კარტის ფულიდამ (თითო კალოდაზე მომეტებულს 5 კაპიკს ახდგეინებდნენ) მოაგროვა, ზოგი სპექტაკლებისა და კონცერტებიდამ და ზოგიც სტუმრებისაგან (მომეტებული 5 კაპ. შესვლის ფასი). მართო კარტის ფულს რომ თითო შაური მოუმატეს, აქედამ 742 მან. და 25 კაპ. დარჩენია ქრუჯოკს.

თფილისის ახლო-მახლო სოფლებიდან საჩივარი მოგედის ქურდობის

გახშირებაზედ. მას აქ თ, რაც თვითონ თფილისში პოლიცია გააძლიერეს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს აფაჯობის მოსპობას, ბოროტი ხალხი ჩვეწვენ ნაფარდობს და ამის გამო გახშირდა ყოველგვარი აფაჯობაო.

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ორის თვის წინათ ერთი ახალ-გაზდა ვაჭი ცოფიან ძაღლს დაუტყენია, გაცოფებულა და ამ დღეებში მომკვდარა კიდევ.

ზორიდამ გვწერენ, რომ იქაურ ქართულ სცენის მოყვარეთ განზრახვა აქვსთ, თვეში ერთი წარმოდგენა მაინც გამართონ როტონდაში და რაც აქედამ, ხარჯს გარდა, შემოსავალი დარჩებათ, უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ახალ-გაზდების ანუ სხვა რომლისამე კეთილის მიზნის სასარგებლოდ გადასდენ.

კეთილი განზრახვაა, თუ კი გორელემა სისრულეში მოიყვანს...

ზუშინ, კვირას, არწრუნის თეატრში იყო ქართული წარმოდგენა. ითამაშეს „რას ვეძებდი და რა ვბოვე“ კნა ბარ. ჯორჯადის კომედია და ვოდვეილი „ბაყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“.

წარმოდგენა ორივე პიესისა ძალიან ლაზაფიანად წავიდა. მაგრამ საზოგადოებაში თითქმის ერთ ხმად ისმოდა უკმაყოფილება იმაზედ, რომ სულ ერთსა და იმავე პიესებს თამაშობდნო, და ამ საყვედურს, მართალი უნდა ესთქვათ, საფუძველიც აქვს...

„დროების“ კორრესპონდენცია

მზურგეთი, 31 დეკემბერს. ამ ჩვენს პატარა ქალაქში გასრულ ომის დროს დიდი სიცოცხლე და მღვლეარება ჰსუფედლა. მის შემდეგ ეს სიცოცხლე და მოძრაობა ისევ ჩაქარა და ქალაქი გამოყრუედა, „საზოგადოცხოვრება“ თითქმის აღარ არის.

ადგილობრივმა „ინტელიგენციამ“ მოინდომა ცოტაოდნათ გავცოცხლებია აქაური საზოგადოება კლუბის გახსნით, რომ თავისუფლების დროს, აქაურ მცხოვრებთ ერთმანერთის შეხვედრით შესძლებოდათ ერთად დროების გატარება და საჭირო საგნებზედ ბაასი. მაგრამ ამ საქმეში ჩვენს „ინტელიგენციას“ შეხვედა დიდი დაბრკოლება სხვა-და-სხვა დიდებულ პირთაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი საზოგადოებამ ვერ იცნო კეთილი ჰაზრის გამოხატველად და არ ისურვა მათი წინამძღობლობა საზოგადო საქმეში.

მაგრამ მუთ. ლუბერატორმა მიიღო მონაწილეობა ჩვენს მღვდმარეობაში და დაგვიბრდა კლუბის ნება-რთვა.

ბარდა კლუბის გახსნისა ჩვენი საზოგადოება მოეღის, რომ მზურ-

გეთის მოედანზედ გაკეთდება მშენებრი ბალი შადრევანი და სხვა-სხვა დით, სადაც საფუძვლიანად მოსპობას თავისუფალ დროს ექმნება კმაყოფილება ერთად თავის შეყრისა, ტანციობისა და წმინდა ჰაერის ყლაპვისა. პირველი ჰაზრი ამ ბალის გაშენებისა ეკუთვნის ბ. მზურგეთის უფზდის ახლანდელს ნაჩაღნიკს, რომელმაც შარშან საფუზულში ტენიკის საშუალებით გაპლანა მადეანი და ჩაასობნა რაოდენიმე ადგილზედ სარები. წელს სრულებით მოათავა აღება პლანზედ იმ მადენისა შემღემგრმა ძაღლანოვმა. ამ პლანის აღება, როგორც ჩვენ ვაფიგეთ, ღირს 80 მან.; მხოლოდ ქალაქის მცირე შემოსავლისა გამო, ვერ იბოვეს ჯერ წყარო რომლიდგანაც დააკმაყოფილონ ეს ვალი. საბაღე ადგილის გაპლანის შემდგომ ახლა ეკითხულობთ, თუ საიდგან დაკმაყოფილდეს ის ხარჯი, რომელიც დასჭირდება სისრულეში მოყვანას შემო-თქმულის მშენებრის ჰაზრისას, ესე იგი მადეანზედ ბალის გაშენებაზედ? ჩვენ დიდ იქვეში ვართ, რომ ეს ხარჯი იქმნეს იმ შემოსავლისაგან, რომელიც აქვს ამ ჩვენს პატარა ქალაქს. იქვეში ვართ მის გამო, რომ ამას წინეთ მზურგეთის მოქალაქეთა შეაყენეს განჩინება, რომ ქალაქის შემოსავლისაგან დანიშნოს სამასი მანეთი დასაჭირავებლად კაპელმეისტრისა, რადგანაც აქაური კამანდის მუზიკა ცუდს მღვდმარეობაშია კაპელმეისტრის უყოლობით; მაგრამ უფზდის ნაჩაღნიკო ვერ აძლევს მსვლელობას ამ განჩენს, რადგანაც იმის აზრით ქალაქის შემოსავალი სხვა უფრო საჭირო მოთხოვნილება-საც ვერ აკმაყოფილებს.

ძალიან საჭიროა მიაქციონ ყურადღება მზურგეთის ქალაქის ქუჩების გაშრობას. შმთავრესი ნაწილი ამ ქუჩებისა წარმოდგენს გაუფელეს ჭაობას და აქეთ სასიკვდილო გავლენა მოქალაქეთა ცხოვრებაზედ.

გურული.

უცხოეთი

ფვილი ამბები. უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ ამ ცოტა ხნში ავსტრიასა, გერმანიასა და რუსეთს შუა მოხდა მტკიცე დაახლოვება მშვიდობიანობის დასაცველადო

ლონდონის გაზეთებში იწერებიან, მივიღეთ ცნობაო, რომლიდამაც სჩანს, რომ აჯანყებულ ახალ-თეკინელებს ეხმარებიან თურქმენები. შკანასკნელ შეტაკების დროს რუსების მხრით ათასზე მეტი კაცი დაჭრილი და მოკლული არისო. ამას გარდა იარაღი და სურსათი წაართვეს ამათო. თურქმენების ზარალი კი ძრიელ მცირეო.

1881 წელს საფრანგეთმა გარდაღვა სახალხო განათლებისათვის 6400000 ფრანკი, მომავალ 1882 წელს ამავე



თიფლისის მუშაობის განცხადება

მინც ქალაქს გაუფრთხილებს... მამონტის... (100-74)

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოქვეყნდა... (100-88)

ერთობ ბევრი ისე იქნება, ამის გამო... (100-88)

მიღებულია ჩიი, პირველი მოსაგე... (12-7)

მთელი ვაზონი გემრიელი მურა... (10-7)

ქლივის!

საპუტოვი თიფლისის მალაზიაში... (3-3)

ვატეტიანი უჩოტაჰი

თიბისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენე... (100-72)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1881 годъ (четвертый годъ изданія) на „ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“

Въ Тифлисѣ съ доставкою на домъ 3 руб., на 1/2 года 2 руб. 50 в.

„ვეფხისტყაოსნის“

შესასწორებლათ შემდგარი რედაქცია... (100-11)

აღრესი: Тифлисъ. Канцелярiя общества грамотности. Саперная улица, № 41.

უაბოხებით

რადგან ინგლისის მალაზია სასმელაუ... (15-14)

ვარამაბაზა უაბოხით არა არის... (15-14)

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო... (10-7)

ინგლისის მალაზია

Maison de confiance... (100-11)

იქვე ისე იქნება სხვა საქონელიც... (100-11)

თვილ ქალაქის გაგებობისაგან

თვილის ქალაქის გაგებობა ამით აცხადებს საყოველთაოდ... (3-2)

პირობების (კანდიციის) ნახვა მსურველთ... (3-2)

ინგლისის მალაზიაში ისე იქნება რევოლვერები... (20-4)

ზოტლანდის ჯუდეგი — 1 მან. 25 კაპეკი... (10-5)

ინგლისის ქალაქისაში

თიფლისის უჩოტაჰი... (100-11)

ამგერებს თმას და ადრინდელ ფერს... (150-25)

აქვე ისე იქნება ქინის ზომდა თიბის... (150-25)

ლონდონის მალაზია

პრევენის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ... (100-11)

ლონდონის მალაზიაში კომერციული ბანკის ქვეშ... (100-11)

საგნისათვის გარდიდება 68,000,000 ფრანკი.

სამხრეთ ალბანიაში კიდევ იწყება არეულობა... (100-11)

აჯანყებული ქურთები ხელ-ახლად უახლოვდებიან... (100-11)

საბერძნეთის მართებლობამ გამოაცხადა... (100-11)

ბერძნებს კარგათ ესმით, რომ ადვილი შესაძლებელია... (100-11)

განცხადებანი

ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან... (100-11)

ზამოცხვარი პური: ხორბლის ფქვილის: (100-11)

პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 კ. მეორის — 1 გირ. 4 (100-11)

იმავე ფქვილიდან თორნიში გამომცხვარი: (100-11)

პირველის ხარისხის — 1 გირ. 6 კ. მეორის — 1 გირ. 4 1/2 (100-11)

ჭვარის-მამის პური: (100-11)

პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7 მეორის — 1 გირ. 5 1/2 მესამის — 1 გირ. 5 (100-11)

ძროხის ხორცი: (100-11)

პირველის ხარისხის — 1 გირ. 10 კ. მეორის — 1 გირ. 8. სუკი — 1 გირ. 16 (100-11)

ცხვრის ხორცი 1 გირ. 11 ლორის ხორცი — 1 გირ. 12 ლორის ხორცი — 1 გირ. 11 კ. (100-11)

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს... (100-11)